ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: შ. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 17.05.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №068/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ო.-ის მიმართ /სიითი №..../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ო.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 17 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა შ. კ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ლ. ო.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის 18 ოქტომბერს შეხვდა ადვოკატ ლ. ო.-ს და გააცნო საქმის მასალები. ადვოკატმა მისცა თანხმობა, რომ დაიცავდა მის ინტერესებს, მისთვის 100 (ასი) ლარის გადაცემის შემდეგ. საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული თანხა მან ადვოკატს გადასცა 19 ოქტომბერს პირადად, ხელზე.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატთან გააფორმა რწმუნებულება 2017 წლის 19 ოქტომბერს.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, 20 ოქტომბერს მან ადვოკატს მიუტანა ბრძანების ასლი, რომელიც გამოსცა სოციალურმა სააგენტომ 2009 წლის 12 ნოემბერს. მისი განმარტებით, ადვოკატი გაეცნო

ბრძანების შინაარსს და სთხოვა, რომ მიემართა ისანი-სამგორის სოციალური განყოფილებისათვის და მოეთხოვა დეკლარაციის ასლი, 2009 წლის 6 მაისის მონაცემებით. მან 23 ოქტომბერს განცხადებით მიმართა ისნის რაიონის სოციალურ განყოფილებას, საიდანაც მიღებული პასუხი ადვოკატს გააცნო. ადვოკატმა ლ. ო.-მა განუმარტა, რომ სოც. მანქანა იყო ძალიან ძლიერი და მის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა და ბოლოს ადვოკატმა მას შესთავაზა კორუფციული გარიგება.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, მეორე საქმეზე ადვოკატმა განუმარტა, რომ სანამ მოუმზადებდა სარჩელს, მანამდე უნდა მიემართათ აუდიტისათვის, რომელაც უნდა შეეფასებინა ქონების სადავო ნაწილის ღირებულება. მან თავის მხრივ ადვოკატს უთხრა, რომ რადგან აღმოჩენილი იყო გაყალბებული საბუთები, ამ საბუთების საფუძველზე მოემზადებინა საჩივარი რომ გაუქმებულიყო 1965 წლის 29 მარტის N2/XXX გადაწყვეტილება, შემდეგ მოხდებოდა სადავო ნაწილის შეფასება და სარჩელის დაწერა. ადვოკატმა მას ასეთი წესით გასაჩივრებაზე უარი უთხრა, რის გამოც ის იძულებული გახდა შეეწყვიტა მისთვის მიცემული მინდობილობა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან მოსთხოვა ადვოკატს 100 (ასი) ლარის დაბრუნება, მაგრამ ადვოკატმა არ დაუბრუნა. მისი განმარტებით, ეს თანხა ადვოკატს არსად გამოუყენებია და მიითვისა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ლ. ო.-მა 2018 წლის 04 ივნისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ 2017 წლის 17 ოქტომბერს მასთან ოფისში მივიდა მოქალაქე შ. კ. და მოითხოვა კონსულტაციის გაწევა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ის გაესაუბრა მას, მაგრამ ვინაიდან ერთმანეთში ურევდა ფაქტებს, სთხოვა მისთვის მოეტანა საბუთები, რომლებსაც შეისწავლიდა, დაადგენდა ფაქტობრივ გარემოებებს და გასცემდა სრულყოფილ კონსულტაციას. ასევე მისი განმარტებით, ვინაიდან მას სურდა რამდენიმე განსხვავებულ საკითხზე საუბარი და კონსულტაციის გაწევა, ასევე საჭირო იყო საბუთების შესწავლა, მას უნდა გადაეხადა 100 (ასი) ლარი, რაზეც შ. კ. დათანხმდა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, შ. კ.-მა მეორე დღეს მიუტანა საკმაოდ სქელი საქაღალდე, რომელიც სავსე იყო საბუთებით და მან უთხრა, რომ არ გაეცნობოდა საქმის მასალებს და არ გასცემდა კონსულტაციას სანამ არ გადაიხდიდა 100 (ასი) ლარს.

2.4 ადვოკატის განმარტებით, 19 ოქტომბერს შ. კ.-მა მიუტანა აღნიშნული თანხა, რის შემდეგაც შეისწავლა მის მიერ წარმოდგენილი საბუთები და უწევდა კონსულტაციას სამი კვირის განმავლობაში, მასთან ერთად განიხილავდა თითოეულ წინადადებას და უმარტავდა მათ მნიშვნელობას, რა დროსაც საჩივრის ავტორი უხეშად და ხმამაღლა ესაუბრებოდა, ვინაიდან მისთვის სასარგებლოდ არ მეტყველებდა საბუთები.

2.5 ადვოკატის განმარტებით, საქმე, რომელიც შეეხებოდა ისანი-სამგორის სოციალურ სააგენტოსთან შ. კ.-ის ურთიერთობას, მეტყველებდა იმაზე, რომ მას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უკვე მიმართული ჰქონდა სასამართლოსთვის და გამოტანილი იყო მისი საწინააღმდეგო

გადაწყვეტილება, ამიტომაც მისი განმარტებით, მეორედ ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს ვეღარ მიმართავდა, მით უმეტეს, რომ ახალი გარემოებები არ არსებობდა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, შ. კ. აბრალებდა სოციალურ აგენტებს, რომ მას მოსთხოვეს ფული, ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი ასახელებდა ზუსტად იმ თანხას, რომელსაც თვითონ ითხოვდა სოციალური სააგენტოსგან და ეს დადასტურებულია სასამართლო გადაწყვეტილებით.

2.7 ადვოკატის განმარტებით, შ. კ.-ს ურჩია, რომ განცხადება შეეტანა სოციალურ სააგენტოში და ეთხოვა სოციალური დახმარება.

2.8 ადვოკატის განმარტებით, მეორე საქმე, რომელსაც შ. კ. ახსენებს, ეხება მის საცხოვრებელ სახლს, კერძოდ მას ჰქონდა 1920 წელს ნასყიდობის ნოტარიული ხელშეკრულება გაცემული მისი მამის და ბიძის მიერ მათ ძმაზე. იგი ითხოვდა ამ საბუთების გაბათილებას, ვინაიდან მისი თქმით, ეს საბუთი გაცემული იყო მოსაჩვენებლად და მის მამას და ბიძას ბინის 1/3 ნაწილი სინამდვილეში არ გაუყიდიათ, ეს საბუთი მათ დასჭირდათ იმისთვის, რომ ჰქონდათ დიდი სახლი და სახელმწიფო უპირებდათ ზედმეტი ფართის ჩამორთმევას.

2.9 ადვოკატის განმარტებით, შ. კ. ცდილობდა მის შეცდომაში შეყვანას, იგი მოითხოვდა მისგან სარჩელის შეტანას სასამართლოში. მან კლიენტს აუხსნა, რომ ეს იყო ხანდაზმული და უნდა გაეკეთებინათ მის მამას და ბიძას თავის დროზე.

2.10 ადვოკატის განმარტებით, ვინაიდან შ. კ. არ მოეშვა, მან აუხსა, რომ სარჩელის შეტანისთვის აუცილებელი იყო სადავო საგნის ღირებულების განსაზღვრა ანუ სჭირდებოდათ აუდიტის დასკვნა, რასაც გარკვეული თანხის გადახდა დასჭირდებოდა, ასევე ამ თანხის 3% უნდა გადაეხადა სასამართლოსთვის სახელმწიფო ბაჟის სახით. ადვოკატის განცხადებით, ამ საქმეზე მისი ჰონორარი განისაზღვრა 500 (ხუთასი) ლარით.

2.11 ადვოკატის განმარტებით, შ. კ.-ს არ მოეწონა ის ფაქტი, რომ აღნიშნული პროცედურები გარკვეულ ხარჯებთან იყო დაკავშირებილი და ამიტომ გააუქმა რწმუნებულება და მოსთხოვა 100 (ასი) ლარის უკან დაბრუნება, რომელიც გადახდილი ჰქონდა საბუთების გაცნობასა და კონსულტაციაში, რაზეც წინასწარ იყვნენ შეთანხმებული, შესაბამისად, ამ თანხას უკან არ დაუბრუნებს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ლ. ო. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი N..../, სპეციალიზაცია – სამოქალაქო სამართალი. ადვოკატის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.“

3.2 შ. კ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 17 მაისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 ოქტომბერსა და ნოემბერში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ლ. ო.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ლ. ო.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატ ლ. ო.-ს გადაუხადა 100 (ასი) ლარი, რომ განეხორციელებინა მისი ინტერესების დაცვა, თუმცა ადვოკატმა მისი ინტერესები არ დაიცვა და არც გადაცემულ 100 (ას) ლარს უბრუნებს უკან.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ლ. ო.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი:,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები."

5.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა."

5.2.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში. კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი."

5.3 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად კლიენტის ინტერესების წარმოდგენა გულისხმობს იმას, რომ ადვოკატმა ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად.

5.4 ეთიკის კომისიამ კვალიფიციურ მომსახურებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ,,ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის

ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს.“

5.5 ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით /განაცხადი №C-309/99; J.C.J. Wounters and others vs Algemene Raad van de Nederlande Orde van Advocaten/ “ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს.“

5.6 საჩივრის ავტორმა ადვოკატ ლ. ო.-ს მიმართა 2017 წლის 17 ოქტომბერს და მოითხოვა კონსულტაციის გაწევა. პირველადი კონსულტაციის შემდეგ ადვოკატმა შ. კ.-ს მოსთხოვა მისთვის მიეტანა საბუთები, რომელთა შესწავლისთვის მოითხოვა თანხა 100 ლარის ოდენობით. შ. კ.-მა მას საბუთები მიუტანა 18 ოქტომბერს, ხოლო თანხა გადასცა 19 ოქტომბერს. 19 ოქტომბერს მხარეთა შორის სანოტარო წესით გაფორმდა მინდობილობა N .....

5.7 საბუთების გაცნობის შემდეგ ადვოკატმა ლ. ო.-მა გამოარკვია, რომ შ. კ.-ს ჰქონდა 2 დავა: დავა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან - როგორც კლიენტის წარდგენილი საქმის მასალებით ირკვეოდა, შ. კ.-ს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უკვე მიმართული ჰქონდა სასამართლოსთვის, გამოტანილი იყო მისი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება, რომელიც იყო კანონიერ ძალაში შესული. რადგან ამ საქმეზე არ არსებობდა ახლად გამოვლენილი გარემოებები, ამ საკითხზე სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვა უშედეგო იქნებოდა, ამიტომ მან კლიენტს ურჩია განცხადებით მიემართა სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის და მოეთხოვა სოციალური დახმარების დანიშვნა. მისი ეს რჩევა შ. კ.-მა აღიქვა ისე, თითქოს ადვოკატმა მას ურჩია ,,კორუფციული გარიგება“.

5.8 შ. კ.-ის მეორე საქმე ეხებოდა მის საცხოვრებელ სახლს. კერძოდ, შ. კ.-ს ჰქონდა დოკუმენტი, 1920 წელს ნასყიდობის ნოტარიული ხელშეკრულება, გაცემული მისი მამის და ბიძის მიერ მათ ძმაზე. იგი ითხოვდა ამ საბუთების გაბათილებას, ვინაიდან მისი თქმით, ეს საბუთი გაცემული იყო მოსაჩვენებლად და მის მამას და ბიძას ბინის 1/3 ნაწილი სინამდვილეში არ გაუყიდიათ. ეს საბუთი მათ დასჭირდათ იმისთვის, რომ ჰქონდათ დიდი სახლი და სახელმწიფო უპირებდათ ზედმეტი ფართის ჩამორთმევას. ადვოკატი ლ. ო. განმარტავს, რომ მან კლიენტს აუხსნა, რომ ეს საქმე იყო ხანდაზმული, მაგრამ რადგან შ. კ. არ მოეშვა, მან აუხსნა, რომ სარჩელის შეტანისთვის აუცილებელი იყო სადავო საგნის ღირებულების განსაზღვრა ანუ სჭირდებოდათ აუდიტის დასკვნა, რასაც გარკვეული თანხის გადახდა დასჭირდებოდა, ასევე შ. კ.-ს ამ თანხის 3% უნდა გადაეხადა სასამართლოსთვის სახელმწიფო ბაჟის სახით. ამ გზას შ. კ. არ დათანხმდა და ადვოკატს 2017 წლის 08 ნოემბერს გაუუქმა მინდობილობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N .....). მინდობილობის გაუქმების შემდეგ კლიენტმა ადვოკატმა ლ. ო.-ს მოსთხოვა გადახდილი საადვოკატო მომსახურების თანხის უკან დაბრუნება. ადვოკატი განმარტავს, რომ აღნიშნული

თანხა 100 (ასი) ლარი მან შ. კ.-სთან წინასწარ შეთანხმებით აიღო კონსულტაციისათვის და კლიენტს კონსულტაციებს უწევდა 3 კვირის განმავლობაში. შესაბამისად, ეს თანხა მან გამოიმუშავა.

5.9 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა ლ. ო.-მა შეისწავლა შ. კ.-ის მიერ მისთვის წარდგენილი საბუთები და ორ საქმეზე გაუწია მას ჯეროვანი სამართლებრივი კონსულტაცია. მხარეთა პოზიციებიდან იკვეთება, რომ კონსულტაციას არ ჰქონია ერთჯერადი სახე, ადვოკატი ლ. ო. შ. კ.-ს უწევდა კონსულტაციებს 3 კვირის განმავლობაში, რისთვისაც მან კლიენტის წინასწარი თანხმობით მიიღო ჰონორარი 100 (ასი) ლარის ოდენობით. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატმა აღნიშნული თანხა გამოიმუშავა და შესაბამისად, ადვოკატ ლ. ო.-ს შ. კ.-სთვის გაწეული სამართლებრივი მომსახურებით არ დაურღვევია კვალიფიციური მომსახურებისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე, 33-ე მუხლებით, მე–6 მუხლის პირველი პუნქტით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №068/18 ადვოკატ ლ. ო.-ის მიმართ /სიითი №..../ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/